დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„არქიტექტურის“ საბაკალავრო პროგრამა

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2024 წლის 9 სექტემბერი
დასკვნის პროექტის წარდეგენის თარიღი: 2024 წლის 25 ნოემბერი
დასკვნის წარდგენის თარიღი: 2024 წლის 11 დეკემბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ბალინტ კადარი, ბუდაპეშტის ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, უნგრეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირაკლი ჟვანია, დამოუკიდებელი არქიტექტორი და ქალაქმგეგმარებელი კონსულტანტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი არქანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დოქტორანტი), თბილისი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	არქიტექტურა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Architecture
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	არქიტექტურის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0731 არქიტექტურა და ქალაქგეგმარება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	შემოქმედებითი ტური

[2]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მიზნად ისახავს არქიტექტურის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა დაიწყოს ყოველწლიურად 20-30 სტუდენტის მიღებით. აღნიშნული ეფუძნება, არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის საშუალებით მიღებულ გამოცდილებას, რომელიც უსდ-მ 2018 წელს დაიწყო. ახალი პროგრამა მიზნად ისახავს ინგლისურენოვანი პროგრამის გამოცდილებიდან სწავლას, არქიტექტურის ახალი საბაკალავრო პროგრამის გაუმჯობესებას, იმ კურსებისა და კომპეტენციების დამატებას, რომლის შესახებაც რჩევები მიიღო უსდ-მ დაინტერესებული მხარეებისგან - სტუდენტებისგან, დამსაქმებლებისგან და პერსონალისგან. 240 ECTS კრედიტიანი პროგრამა 8 სემესტრიანია; თითო სემესტრზე საშუალოდ გათვლილია 30 კრედიტი. პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსებს ძირითად სასწავლო დარგში - 185 კრედიტის მოცულობით, მათ შორის - 15 კრედიტი არჩევითია, თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი 20 კრედიტს მოიცავს, ხოლო თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 35 კრედიტს. ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო კომპონენტი მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს (10 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი უსდ-ში 2024 წლის 9 სექტემბერს შედგა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა გასაუბრებოდა ყველა შესაბამის პასუხისმგებელ პირს, პერსონალს და დაინტერესებულ მხარეს - იხილეთ შეხვედრის განრიგი. შეხვედრები დილის 9:00 საათიდან შუადღის 17:30 საათამდე ორგანიზებულად მიმდინარეობდა, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა კითხვებზე პასუხი მოესმინა პროცესში მონაწილე ყველა რელევანტური პირისგან. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფისთვის მოაწყო დაწესებულების ტური; შედეგად, ჯგუფმა დაათვალიერა სწავლა/სწავლებისთვის განკუთვნილი ყველა სივრცე, ასევე შეხვედრის ადგილები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული შენობები. ვიზიტმა საერთო ჯამში დადებითი შთაბეჭდილება დატოვა; დავაკვირდით სტუდენტებსა და პროფესორებს კურსის მსვლელობისას და ყველაფერი ფუნქციონირებადი ჩანდა; მხოლოდ მცირე კომენტარები იქნება წარმოდგენილი წინამდებარე ანგარიშში.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს უკვე აქვს არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ენაზე, დამაკმაყოფილებელი შედეგებით, შესაბამისად, გაუმჯობესებული ქართულენოვანი პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტების უმეტესობას და ექსპერტთა ჯგუფმა მხოლოდ რამდენიმე ქვესტანდარტში აღმოაჩინა ნაწილობრივი შესაბამისობა . უსდ კარგად ორგანიზებულია და არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამას სათანადო მხარდაჭერა აქვს; შესაბამისად, სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები (მე-5 სტანდარტი) შეესაბამება სტანდარტებს. უსდ ასევე პროაქტიულია სასწავლო რესურსების (სტანდარტი No 4) უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რაც აკმაყოფილებს მატერიალურ რესურსებს, საბიუჯეტო და ფინანსურ რესურსებს და პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მაგრამ მხოლოდ მეტწილად შეესაბამება ადამიანური რესურსების ნაწილში, რადგან ზოგიერთი პროფესორი 10 ECTS კრედიტიან დიზაინის კურსებზე სრულად მარტო რჩებიან, არ არსებობენ ასისტენტები, ასისტენტ-პროფესორების გარეშე კი სამუშაო დატვირთვა არ არის დაბალანსებული და პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობა არ არის უზრუნველყოფილი. სტუდენტთა მიღწევების სტანდარტი (No 3) მეტწილად შესაბამისბოაშია, მუშაობს უმაღლესი განათლების ყველა სტრუქტურა სტუდენტზე ორიენტირებული

---

[4] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სერვისებისთვის, მაგრამ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტმა უნდა გააუმჯობესოს კომუნიკაცია სტუდენტებთან, რადგან ხშირად, სტუდენტები არ არიან ინფორმირებული თავიანთ შესაძლებლობებზე, რაც უხერხულ სიტუაციებს იწვევს. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა (No2) ასევე მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს . აქ ყველაზე დიდი პრობლემა იყო სწავლებისა და სწავლის ზოგიერთ დოკუმენტირებულ მეთოდთან დაკავშირებით, ეს კომპონენტი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტებს, არა იმიტომ, რომ კურსების პროფესორების სწავლების მეთოდებია შეუსაბამობაში, არამედ იმიტომ, რომ სილაბუსებში დოკუმენტირებული მეთოდები ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა ლექციებზე ან პრაქტიკაზე დაფუძნებულ ფაქტობრივ მეთოდოლოგიას; მითითებულია პრაქტიკული და თეორიული საკონტაქტო საათების სტანდარტიზაცია, რომელიც ერთი და იგივეა ყველა კურსისთვის და ასევე არის ამბიციური განაცხადი იმაზე, თუ რამდენი პროფესორი ასწავლის დიზაინის კურსზე, რაც რეალობას არ ემთხვევა. ყველაზე პრობლემური სტანდარტი პირველია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს და მათ შესაბამისობას პროგრამასთან აქვს გარკვეული ხარვეზები, რის გამოც ორი კომპონენტი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს, შესაბამისად, სტანდარტიც მხოლოდ ნაწილობრივ შესაბამისობაშია. 1.5 აკადემიური კურსის/საგნის შესაბამისობის პრობლემა არის ის, რომ 14 ლექციას პლუს 14 პრაქტიკული საკონტაქტო საათი, რომელიც მოცემულია სტანდარტად 5 კრედიტიანი კურსებისთვის, ბაკალავრის დონეზე არ არის დაბალანსებული 93 საათიანი დამოუკიდებელი სამუშაოთი. ამიტომ ასეთი საკონტაქტო საათებით სწავლის შედეგების მიღწევა ვერ მოხდება, სტუდენტები ვერ შეძლებენ ასეთი საათების პირობებში დამოუკიდებლად მუშაობას. გვსურს თქვენი ყურადღებას გავამახვილოთ 1.4 ნაწილზე - საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით. ბევრი კურსი, რომელიც მიზნად ისახავს რვა სწავლის შედეგს, შეიძლება ეფექტურად ვერ უწყობდეს ხელს მოსალოდნელ შედეგებზე გასვლას. გარდა ამისა, კომპონენტებში1.1 და 1.2, მიზნები და შედეგები გარკვეულწილად გაურკვეველია და არ გააჩნიათ სათანადო ორგანიზაცია განსხვავებული კომპეტენციების მიხედვით. გარდა ამისა, 1.4 ნაწილში, ზოგიერთი კურსი, როგორც ჩანს, არასწორ შედეგებს შეესაბამება, რაც დაბნეულობას იწვევს მიზნების, შედეგებისა და კომპონენტების ცხრილებში. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ იდენტიფიცირებული პრობლემები მნიშვნელოვანია, ისინი ძირითადად თეორიული ხასიათისაა. ეს შეიძლება გამოსწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის უფრო მკაფიო ფორმულირებებით, რადგან ისინი ფუნდამენტურად არ ახდენენ გავლენას კურსების რეალურ შინაარსზე. აღნიშნულისგან განსხვავებით, 1.5 ნაწილში არსებული პრობლემა უფრო პრაქტიკულია და, შესაბამისად - უფრო სერიოზული. უნდა აღინიშნოს, რომ თეორიულად, პროგრამამ შეიძლება მაინც დააკმაყოფილოს სტანდარტები შეზღუდული საკონტაქტო საათებით, თუმცა უფრო დაბალი ხარისხით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს საკითხები უნდა გამოსწორდეს, თუმცა უსდ-ს შეუძლია დაიწყოს პროგრამა ისე, რომ პარალელურ რეჟიმში იმუშაოს რეკომენდაციების შესრულებასა და დოკუმენტაციაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე. თუმცა, თუკი უსდ ადეკვატურად არ გადაჭრის ყველა პრობლემას, არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამამ შეიძლება ვერ მიაღწიოს სტანდარტებთან შესაბამისობისთვის საჭირო ხარისხის დონეს.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ დაიყოს კომპეტენციების მიხედვით. სწავლის მრავალი შედეგი აერთიანებს სხვადასხვა დისციპლინას. სასარგებლო იქნება მათი გაყოფა:
    - არქიტექტურის ისტორია და თეორია გამოეყოს შენობების მენეჯმენტს და სამართლებრივ საფუძვლებს O1-ში.
    - საოპერაციო პროცესები, მშენებლობის ორგანიზება, საპროექტო არეალის გაუმჯობესება გაიყოს O4-ში პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციებისგან.
    - O5-ში ურბანული დაგეგმარების კონტექსტიდან გაიყოს შენობის არქიტექტურული თავისებურებები.

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ცხრილების დოკუმენტი ხელახლა იყოს შედგენილი და კომპონენტები (კურსები) უნდა ემთხვეოდეს სწავლის იმ შედეგებს, რომელსაც მიეკუთვნება.
- რეკომენდებულია თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული დაემატოს შეფასების პროცედურის რეალურ შედეგებთან შესადარებელი ფორმით.
- რეკომენდებულია, სილაბუსებში აისახოს შეფასების მეთოდები, რომელიც მოცემულია დოკუმენტში „პროგრამის კომპონენტები და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების სქემა“.
- რეკომენდებულია, გადახედოთ სწავლის შედეგების შეფასებას 1.2 კომპონენტის მიხედვით, კომპეტენციების უფრო მკაფიოდ განსაზღვრულ სფეროებად დაყოფის შემდეგ, რადგან შეფასება შეიძლება მინიჭებული იყოს ამ სფეროების განმსაზღვრელი სხვადასხვა კურსის შეფასებასთან უშუალო კავშირში.
- პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ამ ფორმით ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რამეთუ საჭიროა სწავლის შედეგების მხარდაჭერა საგნებით, ამჟამინდელი სტრუქტურით კი ისინი არეულია. რეკომენდებულია, კომპონენტების რესტრუქტურიზაცია და რომ თითოეული საგანი შეესაბამებოდეს შედეგს მას შემდეგ, რაც შედეგები ხელახლა ჩამოყალიბდება 1.2 კომპონენტის რეკომენდაციების მიხედვით. (პირველი რეკომენდაცია)
- რეკომენდებულია, 125 საათის განაწილება დამოუკიდებელ სამუშაოს, ლექციასა და სემინარულ/ჯგუფურ მუშაობას/პრაქტიკულ სამუშაოს შორის შეიცვალოს შემდეგი 5 ECTS კურსისთვის:
    - გაზარდეთ 28 საათიანი საკონტაქტო საათი, რათა გაორმაგდეს და შესაბამისად შეამცირეთ დამოუკიდებელი სამუშაოსთვის გამოყოფილი 93 საათი, რათა მიაღწიოთ ჩამოთვლილი საგნების სწავლის შედეგებს: მათემატიკა, გეომეტრიული მოდელირების საფუძვლები, გეოდეზია, მასალები და კონსტრუქციები, არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები, ურბანული დაგეგმარების საფუძვლები.
    - გაზარდეთ 14 სალექციო საათი სამჯერ და შესაბამისად შეამცირეთ 93 დამოუკიდებელი სამუშაო საათი სწავლის შედეგების მისაღწევად ჩამოთვლილი საგნებისთვის: არქიტექტურა და ხელოვნება, მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში, საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლები, ARC 4003 კულტურული მემკვიდრეობა, სოციოლოგია.
    - გაზარდეთ 14 სალექციო საათი სამჯერ და შეამცირეთ შესაბამისად 93 დამოუკიდებელი სამუშაო საათი სწავლის შედეგების მისაღწევად: რეპრეზენტატიული ხატვა, არქიტექტურული ხაზვა, არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია, პრაქტიკა.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოთ პროგრამაზე დაშვების უფრო ღია და სამართლიანი პროცესი, სადაც აპლიკანტები კომისიის წინაშე სრულყოფილად შეძლებენ საკუთარი შემოქმედებითი და დიზაინის უნარების დემონსტრირებას.
- რეკომენდებულია, პროგრამის მორგება საერთაშორისო არქიტექტურული განათლების საუკეთესო პრაქტიკასა და სტანდარტებზე.
- რეკომენდებულია გადაიხედოს და განხილული იყოს არქიტექტურის პროგრამები რომლებიც ხორციელდება სხვა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომლებიც აწყობილია საერთაშორისო პრაქტიკების შესაბამისად.

- რეკომენდებულია, არქიტექტურული დიზაინის კურსისთვის, ყველა სტუდენტი დაიყოს 4- 6 სტუდენტისაგან შემდარ მცირე ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს დაენიშნოს ერთი ხელმძღვანელი პროფესორი.
- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის 14 ზე მეტი სალექციო საათის შეთავაზება პროფესორების დასწრებით, შემდეგ კურსებში: არქიტექტურა და ხელოვნება, მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში, საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლები, ARC 4003 კულტურული მემკვიდრეობა, სოციოლოგიამ, რადგან სწავლების მეთოდი შესაბამისობაში იქნება სწავლების საფეხურთან, კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, თუკი ამ კურსებში სტუდენტებისთვის არ დარჩება მხოლოდ 93 დამოუკიდებელი საათი, ასე ცოტა სალექციო საათის ფონზე.
- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის 14-ზე მეტი სალექციო საათის შეთავაზება პროფესორების დასწრებით, შემდეგ კურსებში: გამომხატველი ნახაზი, არქიტექტურული ნახაზი, არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია, პრაქტიკა. რადგან სწავლების მეთოდი შესაბამისობაში იქნება სწავლების საფეხურთან, კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, თუკი ამ კურსებში სტუდენტებისთვის არ დარჩება მხოლოდ 93 დამოუკიდებელი საათი, ასე ცოტა სალექციო საათის ფონზე.
- რეკომენდებულია სილაბუსებში მიეთითოს თითოეულ კურსში გამოყენებული შუალედური შეფასების ყველა ტიპი და მათი კრიტერიუმები და ისინი უნდა განისაზღვროს სემესტრის კონკრეტულ კვირებში.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტმა გააუმჯობესოს კომუნიკაცია სტუდენტებთან, უფრო აქტიურად ითანამშრომლოს მათთან და ჩართოს ისინი სხვადასხვა ღონისძიებებში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის პერსონალმა მეტი ყურადღება მიაქციოს უცხოელი სტუდენტების საჭიროებებს და ხელი შეუწყოს მათ საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრაციას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საჭიროება არ არსებობს ქართულენოვან პროგრამასთან მიმართებით.
- არქიტექტურასთან დაკავშირებულ დარგებში უსდ განიცდის ასისტენტების და ასისტენტ-პროფესორების აბსოლუტურ ნაკლებობას. პროგრამა არ იქნება მდგრადი ასეთი აფილირებული პერსონალის გარეშე. რეკომენდებულია, რომ დარგის სპეციალობის მქონე მოწვეული სასწავლო პერსონალი უფრო ნაკლები იყოს და დაემატოს ასისტენტების სახით მეტი აფილირებული პერსონალი.
- რეკომენდებულია მეტი პერსონალის გამოყოფა 10 კრედიტიანი კურსებისთვის, რამეთუ დოკუმენტებში პერსონალის რაოდენობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა რეალურად, ხშირ შემთხვევაში, ამ პოზიციებს ერთი და იგივე პროფესორები ავსებენ. ეს რეკომენდაცია ეხება შემდეგ საგნებს: ARC 2000 არქიტექტურული პროექტირება (Architectural Design) I, ARC 2500 არქიტექტურული პროექტირება II, ARC 3002 არქიტექტურული პროექტირება III, ARC 3502 არქიტექტურული პროექტირება IV და ARC 4001 არქიტექტურული პროექტირება V.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასურველია, ხელახლა ჩამოაყალიბოთ მიზანი N2, რათა ცალკე გამოყოთ ურბანული დაგეგმარების პროცესები როგორც ცოდნის ერთი სფერო, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიები და ინჟინერიის საკითხები როგორც ცალკე სფერო.

- სასურველია, შემდეგი სწავლის შედეგის ჩამოყალიბება:
    - კონსტრუქციული ინჟინერიისა და შენობების მშენებლობის უნარები
    - ხატვისა და მოდელირების უნარები, გაერთიანებული ან გამოყოფილი ციფრული რეპრეზენტაციის უნარებისგან.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში პროგრამამ უნდა განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები არა მხოლოდ მათთვის, ვინც არ მიიღებს 81+ ქულას, არამედ შეიმუშავოს ნიშნულიც, რომელიც განსაზღვრავს რამდენმა სტუდენტმა უნდა მიიღოს წინასწარ განსაზღვრულ ქულაზე მეტი, რათა უსდ-მ შეძლოს რეაგირება, თუკი ძალიან ბევრი სტუდენტი ვერ შეძლებს სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასურველია, პროგრამის მიზნები, შედეგები და კომპონენტები ხელახლა შეფასდეს 1.2-ში მოცემული რჩევების მიხედვით.
- სასურველია, ყველა არჩევითი კომპონენტი (35 კრედიტი) სავალდებულო გახდეს და მხოლოდ 15 კრედიტი დარჩეს თავისუფალი არჩევითი კომპონენტებისთვის.
- ვინაიდან ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა, სასურველია უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურა დაემატოს ბევრ კურსს, რათა ხელი შეუწყოს სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასურველია, აპლიკანტებს მოსთხოვოთ, პირადი და თავისუფალი არჩევანით წარმოადგინონ დიზაინის პორტფოლიო - ესკიზები, ფერწერა, ნახატები, ნამუშევრები, ტექნიკური/გეომეტრიული ნახაზები, ფოტოები და ა.შ. წარმოდგენილი პორტფოლიოების განხილვის შემდეგ შეარჩიეთ აპლიკანტები, რათა ადგილზე ჩაატაროთ ტესტები ერთიანი მოთხოვნების საფუძველზე და არა პორტფოლიოსთან დაკავშირებულ თემებზე, რათა მათ შეძლონ საკუთარი უნარების წარმოჩენა კომისიის წინაშე.
- სასურველია უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტებს შორის თანამშრომლობა და ცოდნის გაზიარება ვიზიტებისა და ერთობლივი პროექტების მეშვეობით.
- სასურველია უმეტეს საგნებში ლიტერატურის სიის გამდიდრება და საერთაშორისო გამოცდილების დაფარვა.
- სასურველია პროგრამას დაემატოს ადგილზე ვიზიტები და საველე ექსკურსიები.
- სასურველია არქიტექტურული დიზაინის თითოეული პროექტისთვის განისაზღვროს და მიეწოდოს მეტი კონტექსტი არჩეული ადგილის მდებარეობისა და გარემოს შესახებ.
- სასურველია განისაზღვროს შუალედური შეფასებებისა და დავალებების, ქვიზების ან პრეზენტაციების შინაარსი და თემები.
- სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სტუდენტების უფრო აქტიურ ჩართულობას საუნივერსიტეტო, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა.
- სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს სტუდენტებთან და მათი მოსაზრებების საფუძველზე განიხილოს პროგრამის განვითარების გზები.
- დარგობრივი ცოდნის მქონე ასოცირებული პროფესორი სასურველზე მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი, ამ რაოდენობის სტანდარტთან შესაბამისობის შემთხვევაშიც კი, სასურველია მათი რაოდენობის გაზრდა.
- სასურველია, პერიოდულად გადაიხედოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება, რათა შემდგომში დაიხვეწოს მათი შეფასების მეთოდოლოგია.

- სასურველია, ხელახლა გადააწყოთ აუდიტორიებია და სტუდიური სივრცეები, რათა მერხების რიგში ტრადიციულად განლაგების ნაცვლად, უფრო შთამაგონებელი სამუშაო და შემოქმედებითი ატმოსფერო შექმნათ არქიტექტურის სტუდენტებისთვის.
- სასურველია შეიქმნას ჯგუფური სამუშაოსათვის და საერთო პროექტებისათვის უფრო მიმზიდველი სივრცეები, რომელიც წაახალისებს გუნდურ სულისკვეთებას სტუდენტებში.
- სასურველია, გაუმჯობესდეს არქიტექტურის, ურბანიზმის, ნაგებობისა და მსგავსი დარგების შესაბამისი წიგნებისა და ჟურნალების კოლექციის ბეჭდური ვერსიები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას.

უსდ-ის პოზიცია გასაგებია. იურიდიული კუთხით მათ ნამდვილად უზრუნველყვეს ის მინიმუმი, რაც საჭიროა არქიტექტურის პროგრამის შესაქმნელად. ექსპერტთა ჯგუფი ამაზე არ დავობს. თუმცა გამოვლინდა სფეროები, რომელშიც მხოლოდ ნაწილობრივი შესაბამისობა დაფიქსირდა. უსდ-ის არგუმენტირებული პოზიცია კი შეეხებოდა იმ ასპექტებს, სადაც ეს ნაწილობრიობა წარმოდგენილი იყო დადებით მხარეს და დიახ, ექსპრტთა ჯგუფმა დაადგინა ნაწილობრივი შესაბამისობა, ამიტომაც უსდ-ის მიერ ახალ არგუმენტებად წარმოდგენილი პოზიცია უკვე გათვალისწინებული იყო და შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ შეუსაბამობის საკითხი არ დგას. თუმცა, ჩვენ გავეცით რეკომენდაციები იმ ნაწილებში, სადაც შესაბამისობა 100%-ზე ნაკლები იყო. გავეცით რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხისა და მკაფიოობის გასაუმჯობესებლად. ეს არის რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება შეიძლება (და უნდა განხორციელდეს) საგანმანათლებლო პროცესის მსვლელობასთან ერთად ისე, რომ პროგრამის პირველ წლებში სერიოზული გაუმჯობესებები დაფიქსირდეს. ამგვარად, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, გვესმის უსდ-ის პოზიცია, ჩვენ მხარს ვუჭერთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს პროგრამის განვითარებაში; ჩვენ არ გვაქვს მიზეზი იმის სათქმელად, რომ რომელიმე ნაწილი სტანდარტებთან საერთოდ შეუსაბამობაშია. ვინარჩუნებთ ჩვენს ექსპერტულ მოსაზრებას, პროფესიონალურად გამართული რეკომენდაციებით, რათა გააუმჯობესოთ პროგრამის ხარისხი და სიზუსტე საერთაშორისო, კონკურენტული სტანდარტების შესაბამისად.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

---

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა - სასწავლო სფეროს სპეციფიკის, დონისა და საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებით - დაადგინა, რომ ერთის გარდა პროგრამის ყველა სხვა მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. პროგრამის N2 მიზნის ხელახლა ფორმულირება ან ორ მიზნად დაყოფა, ყველა მიზანს უფრო რეალისტურს და მიღწევადს გახდის.

საგანმანათლებლო პროგრამას აქვს 4 მიზანი. მტკიცებულებებმა და ადგილზე ვიზიტმა გამოალვინა, რომ ისინი განისაზღვრა სასწავლო სფეროს სპეციფიკის მიხედვით (არქიტექტურა, ბაკალავრიატი) და შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, შესაბამისად გათვალისწინებული იყო უსდ-ს (IBSU) მისია, ამოცანები და სტრატეგია და ჩართული პროფესორების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების (განსაკუთრებით მათ, ვინც უკვე მონაწილეობენ ინგლისურ საბაკალავრო პროგრამაში) და შესაძლო დამსაქმებლების მოსაზრებები და საჭიროებები. მიზნები ასევე შესაფერისია საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სასურველი დონის მისაღწევად.

4 მიზანი განსხვავებულ დონეზე ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში და რა შეიძლება იყოს მათი წვლილი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში:

ძალიან თანმიმდევრული:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია არქიტექტორის პროფესიისათვის აუცილებელი საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და აუცლილებელი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება. აღნიშნული უნარ-ჩვევები გულისხმობს კურსდამთავრებულის მიერ საპროექტო არეალის მახასიათებლების განსაზღვრისა და არსებული სამშენებლო ნორმატივების გამოყენებით პროფესიონალური არქიტექტურული პროექტების კეთების უნარს.

3. მოამზადოს დარგის სპეციალისტი როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად და შემდეგ
საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

4. პროგრამის მიზანია სტუდენტებმა შეძლონ არქიტექტურის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის
ნაშრომის მომზადება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და მოახდინონ მისი ეფექტური წარდგენა დაინტერესებული აუდიტორიისათვის.

არც ისე თანმიმდევრული:

2. მიაწოდოს სტუდენტებს ცოდნა არქიტექტურის ისტორიის თეორიული ასპექტების შესახებ; პროექტების/კონცეფციების განხორციელებისთვის აუცილებელი პროცედურები; და თანამედროვე ტექნოლოგიები და საინჟინრო საკითხები ურბანული დაგეგმარების პროცესებში

მეორე მიზანი აერთიანებს არქიტექტურაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საკითხების მოსაგვარებლად აუცილებელ კომპეტენციებს ურბანული დაგეგმარების პროცესებისთვის საჭირო კომპეტენციებთან, რაც მიზანს ბუნდოვანსა და შემზღუდველს ხდის, რადგან ის ამჟამინდელი ფორმით მიზნად არ ისახავს არქიტექტურაში ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საკითხების შესახებ ცოდნის მიწოდებას და არც ურბანული დაგეგმაების პროცესებში არსებულ ზოგად საკითხებზე, არამედ ამათ უცნაურ და სპეციფიურ კომბინაციას.

თუმცა, ეს საკითხები არ ახდენს გავლენას სტანდარტებთან შესაბამისობაზე, რამეთუ პროგრამის მიზნები

- მეტნაკლებად ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულ სტუდენტებში.
- ისინი აგრეთვე ახდენენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.
- მიზნები თანმიმდევრულია უსდ-ს მისიასთან, ამოცანებთან და სტრატეგიასთან, ასევე მის ფაკულტეტთან/სკოლასთან/საგანმანათლებლო ერთეულთან თუ სტრუქტურულ ერთეულთან მიმართებით.
- ითვალისწინებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს, ასევე საერთაშორისო ბაზრის საჭიროებებს;
- ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს ;
- გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია;
- გარდა ამისა, მიზნების შესახებ ინფორმირებულნი არიან პროგრამაში ჩართული პირები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიში
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ვებგვერდი - https://ibsu.edu.ge;
- ადგილზე ვიზიტის N1, N2 და N3 სესიები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, ხელახლა ჩამოაყალიბოთ მიზანი N2, რათა ცალკე გამოყოთ ურბანული დაგეგმარების პროცესები როგორც ცოდნის ერთი სფერო, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიები და ინჟინერიის საკითხები როგორც ცალკე სფერო.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები დაჯგუფებულია 10 კომპეტენციად, 4 ცოდნისა და გაგების, 4 უნარების და 2 პასუხისმგებლობისა და ავტონომიის მიხედვით. მტკიცებულებებმა და ადგილზე ვიზიტმა გამოალვინა, რომ ისინი განისაზღვრა სასწავლო სფეროს სპეციფიკის მიხედვით (არქიტექტურა, ბაკალავრიატი) და შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, შესაბამისად გათვალისწინებული იყო უსდ-ს (IBSU) მისია, ამოცანები და სტრატეგია და ჩართული პროფესორების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების (განსაკუთრებით მათ, ვინც უკვე მონაწილეობენ ინგლისურ საბაკალავრო პროგრამაში) მოსაზრებები და რომ ისინი შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულებს, სწავლა გააგრძელონ განათლების მომდევნო საფეხურზე. შესაძლო დამსაქმებლები, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნებს წარმოადგენენ, ინფორმირებულნი იყვნენ ამ შედეგებზე და თანხმდებოდნენ მათ ობიექტურ და რეალისტურ მიღწევადობაზე, რაც შეესაბამება შრმის ბაზრის მოთხოვნების სპეციფიკას.

შედეგების გაზომვადომა დამოკიდებულია პროგრამის ცალკეული კურსის შეფასების მოთხოვნებზე, სილაბუსებიდან და ადგილზე ჩატარებული გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ეს რეალისტურია და

პროფესორებს ექნებათ ინსტრუმენტები, რათა შეაფასონ შედეგების მიღწევა; თუმცა, ამ ასპექტში ყველა სილაბუსი მკაფიო არ არის.

10 შედეგი რეალისტურია, ისინი ძირითადად შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დარგის დეტალურ აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, თუმცა ისინი არ არის ჩამოყალიბებული თანმიმდევრულად, რათა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს და მოიცვას შინაარსით გათვალისწინებული ძირითადი ცოდნა, უნარებ ან/და პასუხისმგებლობა და ავტონომია. .

ძირითადი მიგნებები:

არქიტექტორისთვის საჭირო ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობის შედეგები შენობების დიზაინის, ურბანული დაგეგმარების, არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის, საპროექტო ტერიტორიისა და სამშენებლო ორგანიზაციის, საკანონმდებლო რეგულაციებისა და პროფესიული ეთიკის სფეროებში მოცემულია შედეგებში - 1, 2, 3, 4, 5, 10, რითაც მიღწეულია 1 და 3 მიზანი, ხოლო მეორე მიზანი ნაწილობრივ არის მიღწეულია.

მომხმარებლებთან კომუნიკაციისა და არქიტექტურული სამუშაოს პრეზენტაციისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის მოპოვება სტუდენტებისთვის შესაძლებელია, რადგან ჩამოთვლილი შედეგები არის ყოვლისმომცველი და თანამედროვე; ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება გათვალისწინებულია მეშვიდე და მერვე შედეგში (შეესატყივსება მეოთხე მიზანს). თუმცა, არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისთვის საჭირო ხატვის უნარები არ არის ხაზგასმული ზემოთ ხსენებულ სწავლის შედეგებში. მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე ჩატარებული გასაუბრებისას და სილაბუსებითაც მტკიცდება, რომ სტუდენტები იძენენ ასეთ ცოდნას.

არქიტექტორის პროფესიის თანამედროვე როლის გაგება, უნარები და პასუხისმგებლობა, მოწინავე ტექნოლოგიების ჩათვლით, აისახება მე-2, მე-6 და მე-9 შედეგებში.

მეორე მიზნის შეუსაბამობა, რომელიც აერთიანებს არქიტექტურაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საკითხების დასაძლევად საჭირო კომპეტენციებს ურბანული დაგეგმარების პროცესების შესასრულებლად საჭირო კომპეტენციებთან, ასევე აისახება იმ შედეგებში, რომლითაც ურბანიზმში საჭირო კომპეტენციების მინიჭება ხდება - როგორც ამას ურბანიზმის პროფესორთან ინტერვიუ და სილაბუსის ანალოიზი მოწმობს - თუმცა, შენობების მშენებლობისა და ინჟინერიისთვის არქიტექტურის საბაკალავრო დონეზე საჭირო კომპეტენციები, არ არის მკაფიოდ წარმოდგენილი შედეგებში. შესაბამისად, სწავლის შედეგები არ იძლევა სტუდენტთა საბაზისო ცოდნისა და პასუხისმგებლობის გარანტიას შენობების, სამშენებლო კომპონენტების, სამშენებლო პრინციპების აღქმის მიმართულებით, რაც აუცილებელია ამ პროფესიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიში (SER);
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- ვებგვერდი - https://ibsu.edu.ge;
- ადგილზე გასაუბრების სესიები N1, N2, N3 და N4.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ დაიყოს კომპეტენციების მიხედვით. სწავლის მრავალი შედეგი აერთიანებს სხვადასხვა დისციპლინას. სასარგებლო იქნება მათი გაყოფა:

- არქიტექტურის ისტორია და თეორია გამოეყოს შენობების მენეჯმენტს და სამართლებრივ საფუძვლებს O1-ში.
- საოპერაციო პროცესები, მშენებლობის ორგანიზება, საპროექტო არეალის გაუმჯობესება გაიყოს O4-ში პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციებისგან.
- O5-ში ურბანული დაგეგმარების კონტექსტიდან გაიყოს შენობის არქიტექტურული თავისებურებები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, შემდეგი სწავლის შედეგის ჩამოყალიბება:

- კონსტრუქციული ინჟინერიისა და შენობების მშენებლობის უნარები
- ხატვისა და მოდელირების უნარები, გაერთიანებული ან გამოყოფილი ციფრული რეპრეზენტაციის უნარებისგან.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტისას ცხადი გახდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასევა ხდება უსდ-ის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად. თუმცა, ეს ინსტრუქციები არასაკმარისი აღმოჩნდა არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის გარკვეულ ასპექტებში, ამიტომ ადგილზე გაჩნდა მეტი შეკითხვა, უსდ-ის ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან,

პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან შეხვედრებისას.

გაირკვა, რომ არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოყენებული იქნა ახალი ქართულენოვანი პროგრამის გასაუმჯობესებლად, შეიცვალა და შემუშავდა ზოგიერთი პროგრამის შინაარსი ან/და სწავლის შედეგები ან/და შეფასების სისტემა და/ან სასწავლო რესურსები და განვითარდა IBSU-ს 2018 წლიდან დღემდე არსებული გამოცდილებისა და დაინტერესებული მხარეების რჩევების საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დასკვნის 1.2-ში ხაზგასმული სწავლის შედეგების შეუსაბამობა პირდაპირ გავლენას ახდენს მათი შეფასების მექანიზმზე, ვინაიდან სწავლის შედეგების შეფასება არ შეიძლება იყოს სილაბუსებში აღწერილი კურსების შეფასებასთან უშუალო კორელაციასა და შესაბამისობაში. მაგალითად, რეპრეზენტატიული ან არქიტექტურული ხაზვის კურსის შეფასების მექანიზმი შედეგად გვაძლევს შეფასებას, რომელიც ვერ უკავშირდება 10 სწავლის შედეგიდან ვერცერთის შეფასებას, ხოლო ამ ანგარიშის 1.2-ში გაკრიტიკებული ბევრი სწავლის შედეგის შეფასებას აქვს რამდენიმე - ხშირად ერთმანეთთან არარელევანტური - კურსი დაკავშირებული მათ კომპეტენციებთან, შესაბამისად, მეტისმეტი მოქნილობაა იმ სწავლის შედეგების შეფასებაში, რომლებიც მხოლოდ მცირედით არის დაკავშირებული კურსებთან.

აქედან გამომდინარე, შემდგომი ანალიზი კონცენტრირებულია ცალკეული კურსების შეფასებაზე.

სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები ყოველთვის არ არის მკაფიო, სწავლის შედეგების მრავალი კომპონენტი ფასდება ერთი და იმავე მექანიზმით, რაც ბადებს კითხვებს ამ პროგრამის შეფასების მექანიზმების დახვეწილობის შესახებ. ვიზიტის დროს, პროფესორებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სხვადასხვა სფეროს შეფასების მექანიზმებში არის გარკვეული თავისებურებები, თუმცა ექსპერტებმა ვერ მიიღეს დამაჯერებელი პასუხები საშინაო დავალების, შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ზუსტი მექანიზმების შესახებ. პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; ისინი იღებენ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, თუმცა კონკრეტული მექანიზმების შესახებ მტკიცებულება ვერ მოგვცეს.

ვერ დავინახეთ შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები (როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები), რომლებიც შესაძლებელს გახდის განვსაზღვროთ, რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგებს.

გვაკლია უფრო ზუსტი სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის;. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულთან შედარება რთულია უფრო ზუსტი სამიზნე ნიშნულების გარეშე.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში მოცემულია ცხრილი სამიზნე ინდიკატორებით: „სტუდენტების 70% მაინც მიიღებს მაქსიმუმ 81 ქულას“. უცნაურია მხოლოდ დაბალი

დონის ინდიკატორების განსაზღვრა, ეს ნიშნავს, რომ უსდ იმოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალიან ბევრი კარგი შეფასება იქნება, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, თუ ძალიან ბევრი ცუდი შეფასება იქნება და დადგენილ ხარისხის კრიტერიუმებს ვერც ერთი სტუდენტი ვერ მიაღწევს.
დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას, დადასტურდა სწავლის შედეგების შეფასებაში გარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აუცილებელი დონე; უსდ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდებას სწავლის შედეგების შეფასების ანალიზზე.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ცხრილები ხელახლა უნდა შედგეს; ხოლო კომპონენტები (კურსები) უნდა ემთხვეოდეს იმ სწავლის შედეგებს, რომლებსაც ისინი მიეკუთვნება, რადგან არსებობს მრავალი შედეგი, რომელიც არ შეესაბამება შესაბამის სწავლის შედეგებს. შედეგები (O) საკმაოდ შერეულია და კომპონენტები ხშირად არ მიესადაგება:

- გეოდეზია მხარს უჭერს O1-ს, მაგრამ O1 არის შერეული შედეგი, როგორც ნათქვამია 1.2-ში, და გეოდეზია, როგორც კურსი, მხარს უნდა უჭერდეს იმ გამოტოვებულ შედეგს, რომელიც სტუდენტს მისცემს ცოდნას ინჟინერიისა და სტრუქტურული სფეროების შესახებ.
- O2 მხარდაჭერილია როგორც არქიტექტურული დიზაინის, ასევე ურბანიზმის კურსებით. 1.2-ში იყო შემოთავაზებული O2-ის გაყოფა არქიტექტურული დიზაინის/მშენებლობის და ურბანიზმის შედეგებად, ან შემოთავაზებულია, რომ შედეგის ტექსტი უფრო გასაგები იყოს თუ როგორ არის ეს ორი ერთმანეთთან ინტეგრირებული.
- O4 მხარდაჭერილია მასალებისა და კონსტრუქციების, ასევე არქიტექტურული ფიზიკისა და სამშენებლო ტექნოლოგიების მიერ, რაც ამ შედეგს იმ საინჟინრო შედეგად აქცევს, რომელკიც პროგრამას აკლია; მაგრამ O4-ის ფორმულირება არ შეიცავს ამ სასწავლო შედეგს, როგორც ტექნიკურ-საინჟინროს, ყოველ შემთხვევაში ინგლისურ ენაზე ასეა. არქიტექტურული ხაზვა არის კომპონენტი, რომელიც მხარს უჭერს O5 ან O7-ს, მაგრამ არა O4-ს.
- O5-ის კომპონენტები მხარს უჭერენ O7-ს და არა O5-ს .
- რეპრეზენტატიული ხატვა, ურბანული დიზაინის საფუძვლები და გარემოსდაცვითი დიზაინის საფუძვლები არ უჭერს მხარს O6-ს, უკანასკნელი ორი მხარს დაუჭერს O2-ს და O5-ს, მაგრამ როგორც ნათქვამია 1.2-ში ეს ორი შედეგი უნდა გაიყოს, რათა დადგინდეს ურბანიზმის ადგილი ამ პროგრამაში .
- როგორც ჩანს, O7 გადაცვლილია O5-ით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიში (SER);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა
- ადგილზე გასაუბრების სესიები N1, N2, N3 და N4.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ცხრილების დოკუმენტი ხელახლა იყოს შედგენილი და კომპონენტები (კურსები) ემთხვეოდეს სწავლის იმ შედეგებს, რომელსაც მიეკუთვნება.
- რეკომენდებულია თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული დაემატოს შეფასების პროცედურის რეალურ შედეგებთან შესადარებელი ფორმით.
- რეკომენდებულია, სილაბუსებში აისახოს შეფასების მეთოდები, რომელიც მოცემულია დოკუმენტში „პროგრამის კომპონენტები და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების სქემა“.
- რეკომენდებულია, გადახედოთ სწავლის შედეგების შეფასებას 1.2 კომპონენტის მიხედვით, კომპეტენციების უფრო მკაფიოდ განსაზღვრულ სფეროებად დაყოფის შემდეგ, რადგან შეფასება შეიძლება მინიჭებული იყოს ამ სფეროების განმსაზღვრელი სხვადასხვა კურსის შეფასებასთან უშუალო კავშირში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში პროგრამამ განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები არა მხოლოდ მათთვის, ვინც არ მიიღებს 81+ ქულას, არამედ შეიმუშავოს ნიშნულიც, რომელიც განსაზღვრავს რამდენმა სტუდენტმა უნდა მიიღოს წინასწარ განსაზღვრულ ქულაზე მეტი, რათა უსდ-მ შეძლოს რეაგირება, თუკი ძალიან ბევრი სტუდენტი ვერ შეძლებს სწავლის შედეგების მიღწევას.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☐	☒	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, რომ ეს პროგრამა შემუშავებულია უსდ-ის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით და ECTS - კრედიტების გადაცემისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. გასაუბრების დროს ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ პროგრამის შემუშავება არის ერთობლივი პროცესი და მასში ჩართულია მრავალი დაინტერესებული მხარე (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები).

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, ქვემოთ ჩამოთვლილია დამაბნეველი ელემენტები და ექსპერტებმა ვერ იპოვნეს მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ გაითვალისწინა პროგრამამ ახალი კვლევის შედეგები და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები. ფაქტობრივად, პროგრამა ძალიან კონსერვატიულად გამოიყურება.

პროგრამის ძირითადი სასწავლო კომპონენტები (ინდივიდუალური კურსები) ლოგიკურად არის ორგანიზებული და უზრუნველყოფილია შინაარსის ლოგიკური განვითარება, მაგრამ არსებობს გარკვეული შეშფოთება ორგანიზაციულ სტრუქტურასთან და მასში სწავლების ზოგიერთი კომპონენტის ადგილთან დაკავშირებით. კვლევის შედეგების დაკვირვების განრიგის ცხრილი ჩამოთვლის, თუ როგორ არის სწავლის შედეგები მხარდაჭერილი კომპონენტებით (კურსებით) პროგრამის 8 სემესტრის განმავლობაში, ეს არის მნიშვნელოვანი, კარგად სტრუქტურირებული დოკუმენტი. თუმცა, არსებობს შეუსაბამობები, რომლებიც ხაზს უსვამს ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშის 1.2-ში და 1.3-ში გამოთქმულ შეშფოთებას. შედეგები (O) საკმაოდ შერეულია და კომპონენტები ხშირად არ მიესადაგება, როგორც უკვე გამოხატულია 1.3-ში:

- გეოდეზია მხარს უჭერს O1-ს, მაგრამ O1 არის შერეული შედეგი, როგორც ნათქვამია 1.2-ში, და გეოდეზია, როგორც კურსი, მხარს უნდა უჭერდეს იმ გამოტოვებულ შედეგს, რომელიც სტუდენტს მისცემს ცოდნას ინჟინერიისა და სტრუქტურული სფეროების შესახებ.
- O2 მხარდაჭერილია როგორც არქიტექტურული დიზაინის, ასევე ურბანიზმის კურსებით. 1.2-ში იყო შემოთავაზებული O2-ის გაყოფა არქიტექტურული დიზაინის/მშენებლობის და ურბანიზმის შედეგებად, ან შემოთავაზებულია, რომ შედეგის ტექსტი უფრო გასაგები იყოს თუ როგორ არის ეს ორი ერთმანეთთან ინტეგრირებული.
- O4 მხარდაჭერილია მასალებისა და კონსტრუქციების, ასევე არქიტექტურული ფიზიკისა და სამშენებლო ტექნოლოგიების მიერ, რაც ამ შედეგს იმ საინჟინრო შედეგად აქცევს, რომელკიც

პროგრამას აკლია; მაგრამ O4-ის ფორმულირება არ შეიცავს ამ სასწავლო შედეგს, როგორც ტექნიკურ-საინჟინროს, ყოველ შემთხვევაში ინგლისურ ენაზე ასეა. არქიტექტურული ხაზვა არის კომპონენტი, რომელიც მხარს უჭერს O5 ან O7-ს, მაგრამ არა O4-ს.

- O5-ის კომპონენტები მხარს უჭერენ O7-ს და არა O5-ს .
- რეპრეზენტატიული ხატვა, ურბანული დიზაინის საფუძვლები და გარემოსდაცვითი დიზაინის საფუძვლები არ უჭერს მხარს O6-ს, უკანასკნელი ორი მხარს დაუჭერს O2-ს და O5-ს, მაგრამ როგორც ნათქვამია 1.2-ში ეს ორი შედეგი უნდა გაიყოს, რათა დადგინდეს ურბანიზმის ადგილი ამ პროგრამაში .
- როგორც ჩანს, O7 გადაცვლილია O5-ით.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ არის:

- ამ სპეციალობის არჩევითი კომპონენტის მხოლოდ 15 ECTS არის ასარჩევი, ხოლო ასეთი კურსიები 35 კრედიტის ოდენობითაა წარმოდგენილი. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა უფრო მარტივად მოხდება, თუკი მეტი კრედიტი დაეთმობა არქიტექტურის დარგს. თავისუფალი არჩევითი კურსები 35 კრედიტების ოდენობითაა პროგრამაში, რაც გადაჭარბებულია (თუმცა შეესაბამება სტანდარტს).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიში (SER);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ცხრილები;
- ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრება, სესიები: N1, N2, N3, N4, N5.

რეკომენდაციები:

- პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ამ ფორმით ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას , რამეთუ საჭიროა სწავლის შედეგების მხარდაჭერა საგნებით, ამჟამინდელი სტრუქტურით კი ისინი არეულია. რეკომენდებულია, კომპონენტების რესტრუქტურიზაცია და რომ თითოეული საგანი შეესაბამებოდეს შედეგს მას შემდეგ, რაც შედეგები ხელახლა ჩამოყალიბდება 1.2 კომპონენტის რეკომენდაციების მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის მიზნები, შედეგები და კომპონენტები ხელახლა შეფასდეს 1.2-ში მოცემული რჩევების მიხედვით.
- სასურველია, ყველა არჩევითი კომპონენტი (35 კრედიტი) სავალდებულო გახდეს და მხოლოდ 15 კრედიტი დარჩეს თავისუფალი არჩევითი კომპონენტებისთვის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა ყველა სილაბუსი და შეადარა ისინი სხვა დოკუმენტებს, პროცესი გართულდა იმით, რომ სილაბუსების მხოლოდ ნახევარი ითარგმნა ინგლისურად; ეს წესებთან შესაბამისობაშია, თუმცა ამან შეფასების პროცესი შეანელა. სილაბუსების სტრუქტურა და დეტალების დონე მისაღებია. კურსების უმეტესობას ჰქონდა საკმარისი პროფესიული შინაარსი, სავალდებულო ლიტერატურა; სწავლა/სწავლების სხვა რესურსები, რომლებიც ჩამოთვლილია სილაბუსებში, შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბევრი ლიტერატურა არ არის განახლებული, რაც აიხსნება იმით, რომ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ქარულენოვანი ლიტერატურა უნდა იყოს სავალდებულო, თუმცა ზოგიერთი დარგი ქართულენოვანი ლიტერატურის სიუხვით არ გამოირჩევა.

თითოეული აკადემიური კურსის შინაარსი და სწავლის შედეგი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს , მაგრამ ამ ასპექტში გასათვალისწინებელია 1.2 და 1.4 პუნქტებში ჩამოთვლილი პრობლემები.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ECTS სტანდარტებს, მაგრამ არსებობს სერიოზული შეშფოთება კრედიტების განაწილებისას, რაც ეჭვქვეშ აყენებს არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას . საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა არც თუ ისე ადეკვატურია სწავლის შედეგების დადგენილ რაოდენობასთან, რადგან 5 ECTS კრედიტიან კურსს ეთმობა მხოლოდ 2 საკონტაქტო საათი, რაც შეიძლება საკმარისი იყოს

ქაღალდზე, მაგრამ რეალურად, მრავალი თეორიული კურსისთვის ეს არ არის საკმარისი. პროფესორებთან ადგილზე გასაუბრებამ არ დაარწმუნა ექსპერტთა ჯგუფი, რომ 5 კრედიტიანი კურსისთვის კვირაში 2 საათი საკმარისია პროფესორის მიერ ცოდნის წარმატებით გადასაცემად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ ჯერზე ეს საათები ნახევრად ლექციას და ნახევრად პრაქტიკას მოიცავს; რაც იმას ნიშნავს რომ დიდი მოცულობის საგანში, ლექტორებს მხოლოდ 14 საკონტაქტო საათი აქვთ ცოდნის გადასაცემად, რაც არ არის შესაბამისი 5 კრედიტიანი თეორიული კურსისთვის. ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ პროფესორებმა იციან ამ პრობლემის შესახებ და 5 კრედიტიან კურსზე ზოგი 14 საათზე უფრო მეტ საათს იყენებს ლექციისთვის, ზოგი კი პრაქტიკისთვის, თუმცა გამოცდებთან ერთად 28 საათზე მეტს ვერ იყენებენ. 5 ECTS კურსისთვის 14 სალექციოს+ 14 პრაქტიკული საათის წესი, IBSU-ს მხრიდან გამარტივების მცდელობაა; აქ მეტი მუშაობაა საჭირო. ჩვენ გირჩევთ გააორმაგოთ საკონტაქტო საათები ამ კურსებისთვის.

მოცემულ საკონტაქტო საათებში სწავლის შედეგების მისაღწევად ყველაზე პრობლემური კურსებია:

- 28 საკონტაქტო საათი არ არის საკმარისი და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის 93 საათი ნაყოფიერად ვერ გამოიყენება: მათემატიკა, გეომეტრიული მოდელირების საფუძვლები, გეოდეზია, მასალები და კონსტრუქციები, არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები, ურბანული დაგეგმარების საფუძვლები.
- 14 სალექციო საათი არ არის საკმარისი 14 პრაქტიკული საათის და 93 დამოუკიდებელი სამუშაო საათის მიმართ: არქიტექტურა და ხელოვნება, მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში, საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლები, ARC 4003 კულტურული მემკვიდრეობა, სოციოლოგია.
- 14 პრაქტიკული საათი არ არის საკმარისი 14 სალექციო საათის და 93 დამოუკიდებელი სამუშაო საათის მიმართ: რეპრეზენტატიული
  ხატვა, არქიტექტურული ხაზვა, არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია, პრაქტიკა.

ხშირად სილაბუსებში მითითებული კრედიტების რაოდენობა არ შეესაბამება საათების განაწილებას.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული კურსისთვის მოცემულია ძირითადი ლიტერატურა, მათი რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია. ზოგიერთ კურსში,ძირითადი ლიტერატურის ქვეშ, ჩამოთვლილია მხოლოდ ერთი ან ორი წიგნი, ისიც მხოლოდ ადგილობრივი ავტორების. ზოგიერთი დამატებითი რესურსი გარკვეულ საგნებში არის მხოლოდ ერთი ქვეყნიდან, ჩინეთიდან და ა.შ. ზოგიერთი ჩამოთვლილი ლიტერატურა არ შეესაბამება კურსის საგანს (რაც შეიძლება ჩაითვალოს სილაბუსში მექანიკურ შეცდომად).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში (SER);
- სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ცხრილები;
- ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრება, სესიები: N1, N2, N3, N4, N5.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ 125 საათის განაწილება დამოუკიდებელ სამუშაოს, ლექციასა და სემინარულ/ჯგუფურ მუშაობას/პრაქტიკულ სამუშაოს შორის შეიცვალოს შემდეგი 5 კრედიტიანი კურსებისთვის:

- გაზარდეთ 28 საათიანი საკონტაქტო საათი, რათა გაორმაბდეს და შესაბამისად შეამცირეთ დამოუკიდებელი სამუშაოსთვის გამოყოფილი 93 საათი, რათა მიაღწიოთ ჩამოთვლილი საგნების სწავლის შედეგებს: მათემატიკა, გეომეტრიული მოდელირების საფუძვლები, გეოდეზია, მასალები და კონსტრუქციები, არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები, ურბანული დაგეგმარების საფუძვლები.
- გაზარდეთ 14 სალექციო საათი სამჯერ და შესაბამისად შეამცირეთ 93 დამოუკიდებელი სამუშაო საათი სწავლის შედეგების მისაღწევად ჩამოთვლილი საგნებისთვის: არქიტექტურა და ხელოვნება, მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში, საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლები, ARC 4003 კულტურული მემკვიდრეობა, სოციოლოგია.
- გაზარდეთ 14 სალექციო საათი სამჯერ და შეამცირეთ შესაბამისად 93 დამოუკიდებელი სამუშაო საათი სწავლის შედეგების მისაღწევად: რეპრეზენტატიული

  ხატვა, არქიტექტურული ხაზვა, არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია, პრაქტიკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა, სასურველია უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურა დაემატოს ბევრ კურსს, რათა ხელი შეუწყოს სწავლის შედეგების მიღწევას.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	☐	☒	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის წინასწარშესრულებული ორი გრაფიკული ნახატი (graphic drawings) და ორი არქიტექტურული ესკიზი (architectural sketches). არ არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ჩაბარებული მასალების ავტორები ნამდვილად აპლიკანტები არიან. უფრო გამოცდილ პირებს შეუძლიათ დახატონ ნახატები და ესკიზები აპლიკანტებისთვის, რომლებიც შემდეგ მათ საკუთარ ნამუშევრად ჩააბარებენ. კომისიის წინაშე აპლიკანტებს ნახატის მხოლოდ ერთი დეტალური ნაწილის და ერთი ესკიზის გამეორება მოეთხოვებათ. თუკი აპლიკანტები ნახატებსა და ესკიზებს საგამოცდო თარიღამდე დიდი ხნით ადრე მოიპოვებენ, მათ საკმარისი დრო ექნებათ, რომ ამ მცირე ნაწილის გადახატვაში გაივარჯიშონ.

პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებში არის შეზღუდვა, რომ მხოლოდ შავ-თეთრი გრაფიკული ნახატია დასაშვები (კუბი, სფერო, ცილინდრი, პირამიდა, კონუსი და ა.შ.), რაც ძველი და საბჭოური მიდგომაა. რეკომენდირებულია, რომ აპლიკანტებს მიეცეთ მეტი თავისუფლება, გამოხატონ თავიანთი კრეატიულობა დიზაინის სხვა ფორმებითაც (ფერადი ნახატები, მოდელირება, ციფრული ხელოვნება, ფოტოგრაფია, აბსტრაქტული ხელოვნება და ა.შ.).

პროგრამაში დაშვების წინაპირობები მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებს პროგრამის მახასიათებლებს და ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამის დაუფლების შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტების მიღებას .

პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს, განათლების დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას;

უსდ-მ განსაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდეტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს, ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ ადმინისტრირებას.

პროგრამაზე სტუდენტების მიღება სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმარების მეთოდოლოგიით ხდება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ნაწილობრივ სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ამის შესახებ ნათქვამია პროგრამისა და დაშვების წინაპირობების დოკუმენტებში, ასევე დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, გასაუბრებისას.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უზრუნველყოთ პროგრამაზე დაშვების უფრო ღია და სამართლიანი პროცესი, სადაც აპლიკანტები სრულყოფილად შეძლებენ საკუთარი შემოქმედებითი და დიზაინის უნარების დემონსტრირებას, კომისიის წინაშე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, აპლიკანტებს მოსთხოვოთ, პირადი და თავისუფალი არჩევანით წარმოადგინონ დიზაინის პორტფოლიო - ესკიზები, ფერწერა, ნახატები, ნამუშევრები, ტექნიკური/გეომეტრიული ნახაზები, ფოტოები და ა.შ. წარმოდგენილი პორტფოლიოების განხილვის შემდეგ შეარჩიეთ აპლიკანტები, რათა ადგილზე ჩაატაროთ ტესტები ერთიანი მოთხოვნების საფუძველზე და არა პორტფოლიოსთან დაკავშირებულ თემებზე, რათა მათ შეძლონ საკუთარი უნარების წარმოჩენა კომისიის წინაშე.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს არქიტექტურული განათლების საფუძვლების მიწოდებას. იგი მოიცავს საბაკალავრო ხარისხის მინიმალური სტანდარტების შესაბამის კურსებსა და დავალებებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ემყარება და იმეორებს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის არქიტექტურული განათლების მოძველებულ სტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში შემოთავაზებულია რამდენიმე ახალი და საინტერესო კურსი, ზემოთხსენებული ტენდენცია ვრცელდება უმეტეს საგნებზე და არქიტექტურული დიზაინის პროექტების თემებზეც.

გასაუბრების დროს, დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ კმაყოფილები არიან არსებული ინგლისურენოვანი პროგრამიდან მოსული სტაჟიორებისა და კურსდამთავრებულების ცოდნის დონით. მეორეს მხრივ, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურთ სასწავლო პროცესის უფრო მაღალი ტემპი და მიაჩნიათ, რომ მათი მეგობრები სხვა უნივერსიტეტების არქიტექტურის პროგრამებიდან უფრო წინ არიან.

სწავლის შედეგებისა და განათლების საფეხურიდან გამომდინარე, პროგრამა საკმარისად არ უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების, შემოქმედებითი/საშემსრულებლო უნარების განვითარებას და მათ ჩართულობას სამეცნიერო/კვლევით პროექტებში.

პროგრამის პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში და შეესაბამება განათლების საფეხურს.

პრაქტიკის კომპონენტის და/ან სამეცნიერო კვლევითი/საშემსრულებლო პროექტის ფარგლებში, სტუდენტს ხელმძღვანელობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც აფასებს მის საქმიანობას.

დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან ხელმოწერილი შეთანხმებები/მემორანდუმები და/ან მათი დანართები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, მიზნებს, შედეგებს და პრაქტიკის ხანგრძლივობას და მხარს უჭერს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მოწოდებული პროგრამა, სილაბუსები და გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის მორგება საერთაშორისო არქიტექტურული განათლების საუკეთესო პრაქტიკასა და სტანდარტებზე.
- რეკომენდებულია გადაიხედოს და განხილული იყოს არქიტექტურის პროგრამები რომლებიც ხორციელდება სხვა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომლებიც აწყობილია საერთაშორისო პრაქტიკების შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტებს შორის თანამშრომლობა და ცოდნის გაზიარება ვიზიტებისა და ერთობლივი პროექტების მეშვეობით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს ლექციების, სემინარებისა და სწავლება-სწავლის სხვა მეთოდების საბაზისო ან დამაკმაყოფილებელ დონეს. მეორეს მხრივ, ხშირად საათები გაყოფილია 50/50 ლექციებსა და სემინარებს ან პრაქტიკულ სამუშაოს შორის, მაშინ როცა კურსის თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე, მასზე მეტად მორგებული მიდგომა უნდა იყოს დანერგილი.

არქიტექტურა ისეთი სფეროა, სადაც გუნდური მუშაობის უნარები არსებითი მნიშვნელობისაა. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, სტუდენტები ზოგიერთ დავალებას ჯგუფურად ასრულებენ, მაგრამ არ ხორციელდება ჯგუფური პროექტი, ხოლო არქიტექტურული დიზაინის კურსის ყველა პროექტი ყოველ სემესტრში ინდივიდუალურად სრულდება.

არქიტექტურული დიზაინის კურსის სილაბუსებიდან გაურკვეველია, სტუდენტები კონკრეტულ ლოკაციებთან დაკავშირებულ პროექტებს ამუშავებენ, რომელიც ითვალისწინებს ტოპოგრაფიას, გარემოს და ადგილობრივ კონტექსტს, თუ დიზაინს აკეთებენ „ცარიელ ფურცელზე“.

არქიტექტურული დიზაინის კურსი და სტუდიური სამუშაო, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი საგანია არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისთვის, სადაც სტუდენტები სწავლობენ, როგორ უნდა შეიმუშაონ და დახატონ პროექტი. ამ კურსის სილაბუსებში ხუთი პროფესორია მითითებული. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისას, შეფასების გუნდმა მიიჩნია, რომ პროგრამაში ყოველწლიურად ჩარიცხული

დაახლოებით 30 სტუდენტი (როგორც უნივერსიტეტის მენეჯმენტმა განაცხადა) დაიყოფა მცირე ჯგუფებად, რომელთაც თითოეული თანამშრომელი გაუწევს ზედამხედველობას (როგორც ეს მიღებულია არქიტექტურული დიზაინის კურსებში საქართველოში და საზღვარგარეთ). გასაუბრების დროს, როგორც თანამშრომლებმა, ასევე ამგვარი ინგლისურენოვანი პროგრამის მოქმედმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მთელ ჯგუფს, დაახლოებით 30 სტუდენტს, თითოეულ სემესტრში ხელმძღვანელობას გაუწევს მხოლოდ ერთი პროფესორი. ამგვარი სქემა ვერ უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის ისეთი ხარისხით ხელმძღვანელობას, როგორიც საკმარისი იქნება მათი ინდივიდუალური პროექტებისთვის და პროგრამის მიზნების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წარმოდგენილი სილაბუსები და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრება.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, არქიტექტურული დიზაინის კურსისთვის, ყველა სტუდენტი დაიყოს 4- 6 სტუდენტისაგან შემდარ მცირე ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს დაენიშნოს ერთი ხელმძღვანელი პროფესორი.
- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის 14 ზე მეტი სალექციო საათის შეთავაზება პროფესორების დასწრებით, შემდეგ კურსებში: არქიტექტურა და ხელოვნება, მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში, საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლები, ARC 4003 კულტურული მემკვიდრეობა, სოციოლოგიამ, რადგან სწავლების მეთოდი შესაბამისობაში იქნება სწავლების საფეხურთან, კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, თუკი ამ კურსებში სტუდენტებისთვის არ დარჩება მხოლოდ 93 დამოუკიდებელი საათი, ასე ცოტა სალექციო საათის ფონზე.
- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის 14-ზე მეტი სალექციო საათის შეთავაზება პროფესორების დასწრებით, შემდეგ კურსებში: გამომხატველი ნახაზი, არქიტექტურული ნახაზი, არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია, პრაქტიკა. რადგან სწავლების მეთოდი შესაბამისობაში იქნება სწავლების საფეხურთან, კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, თუკი ამ კურსებში სტუდენტებისთვის არ დარჩება მხოლოდ 93 დამოუკიდებელი საათი, ასე ცოტა სალექციო საათის ფონზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უმეტეს საგნებში ლიტერატურის სიის გამდიდრება და საერთაშორისო გამოცდილების დაფარვა.
- სასურველია პროგრამას დაემატოს ადგილზე ვიზიტები და საველე ექსკურსიები.
- სასურველია არქიტექტურული დიზაინის თითოეული პროექტისთვის განისაზღვროს და მიეწოდოს მეტი კონტექსტი არჩეული ადგილის მდებარეობისა და გარემოს შესახებ.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	☐	☒	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული კურსის სილაბუსში ჩამოთვლილია შეფასების კრიტერიუმები და მათზე მინიჭებული ქულები, რომელიც იდენტურია ყველა კურსისთვის. თუმცა, სილაბუსების უმეტესობაში ან არ არის მითითებული, რომელი კრიტერიუმები იქნება გამოყენებული კონკრეტულ კურსში, ან საერთოდ არ არის აღნიშნული ეს კრიტერიუმები, ან არ არის მითითებული, თუ როდის ჩატარდება შეფასება, მაგალითად, შუალედური გამოცდა მე-7 კვირას და სხვ. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაშია ნახსენები შუალედური შეფასება ან დავალებები. ეს ართულებს სტუდენტების შეფასების კომპონენტის შეფასებას.

სტუდენტების შეფასება მიმდინარეობს დადგენილი პროცედურების შესაბამისად; ის სამართლიანია ყველა სტუდენტისთვის, გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

არ არის ნათელი, ითვალისწინებს თუ არა თითოეული აკადემიური კურსის კომპონენტები და შეფასების მეთოდები ამ კურსის სპეციფიკას, შეესაბამება თუ არა კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს თუ არა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას, რადგან ყველა ეს კრიტერიუმი არ არის განსაზღვრული და ჩამოთვლილი წარმოდგენილ სილაბუსებში. ინტერვიუების დროს აკადემიურმა პერსონალმა განაცხადა, რომ აღნიშნული აღარ მოითხოვება.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი, თუმცა არ ვიცით, თუ რამდენადაა ის წინასწარ ცნობილი სტუდენტებისათვის, რადგან ისინი სილაბუსებში მკაფიოდ არ არის ჩამოთვლილი.

სტუდენტები უკუკავშირს იღებენ როგორც სწავლის შედეგებზე, ისე მათი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

სტუდენტების შეფასებისას, უსდ იყენებს აკადემიური და სამეცნიერო ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმებს.

უზრუნველყოფილია სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. ეს სტუდენტებისთვის წინასწარ ცნობილია.

სტუდენტების შეფასების აპელაციის პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია. აპელაციის პროცესში შესაძლებელია შეფასების შედეგების გადახედვა და გადაწყვეტილების მიღება სხვა შემფასებლის / შემფასებლების მიერ.

შეფასების შედეგები განიხილება და გამოიყენება სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის.

საჭიროების შემთხვევაში, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების შეფასებას ელექტრონული/ დისტანციური სწავლების მეთოდით, კურსის კომპონენტების სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების შეფასების სანდოობისა და ვალიდურობის მონიტორინგს, მათ შორის ელექტორონული / დისტანციური სწავლების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მოწოდებული სილაბუსები და გასაუბრება

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სილაბუსებში მიეთითოს თითოეულ კურსში გამოყენებული შუალედური შეფასების ყველა ტიპი და მათი კრიტერიუმები და ისინი უნდა განისაზღვროს სემესტრის კონკრეტულ კვირებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია განისაზღვროს შუალედური შეფასებებისა და დავალებების, ქვიზების ან პრეზენტაციების შინაარსი და თემები.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4. სტუდენტების შეფასება:	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ინფორმაციის მიწოდების, კონსულტაციისა და მხარდაჭერის შემდეგ საშუალებებს:

1. გაცნობითი შეხვედრა სწავლის დაწყებამდე, რომელზეც სტუდენტებს მიეწოდებათ ძირითადი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია პროგრამის შესახებ;

2. ადმინისტრაციული და აკადემიური საკითხების გადაჭრისთვის სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია პროგრამის ხელმძღვანელისგან, სკოლის დეკანატისგან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სხვა ადმინისტრაციული ერთეულებისგან;

3. სოციალური ქსელების საკომუნიკაციო ჯგუფების საშუალებით, სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებზე და ღონისძიებებზე;

4. აკადემიური/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის სამუშაო დატვირთვა მოიცავს სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილ საათებს;

5. სტუდენტებს შეუძლიათ პირადად (ტელეფონით, ელ.ფოსტით, სოციალური ქსელით) დაუკავშირდნენ პროგრამის ხელმძღვანელს და აკადემიურ პერსონალს;

6. სტუდენტები იღებენ საჭირო ინფორმაციას სტუდენტური პორტალიდან (sis.ibsu.edu.ge), უნივერსიტეტის ვებგვერდიდან (ibsu.edu.ge), ელ-ფოსტით და სოციალური ქსელებიდან.

პროგრამის ფარგლებში – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსში განხორციელებადი არქიტექტურის ინგლისურენოვანი პროგრამის გამოცდილებიდან გამომდინარე – სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში, სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია

გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა კონფერენციებში. კონფერენციებში მონაწილე სტუდენტები ინტერვიუებში არ მონაწილეობდნენ.

როგორც პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, პროგრამის ფარგლებში, არსებული პროგრამების სტუდენტებს მათ ინტერესებთან შესაბამისობაში და კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ ვებინარებს, რომლებიც ორგანიზებულია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, თუმცა, გასაუბრებაში მონაწილე სტუდენტები და კურსდამთავრებულები ვერ იხსენებდნენ მსგავსი ტიპის ვებინარში მონაწილეობას.

უნივერსიტეტს აქვს სტუდენტური კლუბები, რომელთაც შეუძლიათ პროექტების დაფინანსებაზე წარდგენა. პროექტები შესაძლოა ინდივიდუალურად იქნეს წარდგენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტი, რომლის მიზანია თანამშრომლობა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების იდენტიფიცირება და საგანმანათლებლო პროგრამების ამ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. გასაუბრების დროს აღმოჩნდა, რომ სტუდენტებს არ ჰქონდათ შესაბამისი ინფორმაცია ამ დეპარტამენტის შესახებ და ვერ გაიხსენეს დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული რაიმე ღონისძიება, რომელშიც მათ მონაწილეობა მიიღეს.

გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ უცხოელი სტუდენტები გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან აკადემიური რეგისტრაციის პროცესში და მეტ მხარდაჭერას საჭიროებენ.

პროგრამას მეტი სტუდენტის ჩართულობა სჭირდება გაცვლით პროგრამებში. გასაუბრებებში მონაწილე არცერთ სტუდენტს ჰქონდა გაცვლით პროგრამაში მიღებული მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ჯგუფში სტუდენტი არ იყო წარმოდგენილი. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის განვითარების და თვითშეფასების პროცესში სტუდენტების ჩართულობა არ არის მაღალი. უნივერსიტეტმა უფრო ახლოს უნდა ითანამშრომლოს სტუდენტებთან და განვითარების გზების დასახვაში მათი მოსაზრებები გაითვალისწინოს.

უნივერსიტეტის არსებული ინფრასტრუქტურა, რომელიც თანამედროვეა და პასუხობს სტუდენტების მოთხოვნებსა და საჭიროებებს, ცალკე აღსანიშნავია. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებისთვის სასიამოვნო და კომფორტულ სამუშაო გარემოს ქმნის.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ:

- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას საუნივერსიტეტო, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, თუმცა საჭიროა მეტი ასეთი ღონისძიების ორგანიზება.
- უნივერსიტეტის თანამშრომლები საკმარის ყურადღებას არ აქცევენ უცხოელი სტუდენტების საჭიროებებს და მეტი უნდა გაკეთდეს მათი საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის.
- სტუდენტები ისურვებდნენ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდას, რადგან ინტერნაციონალიზაცია არქიტექტურის სტუდენტების კარიერისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.
- სტუდენტები მზად არიან უნივერსიტეტთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის, მათი მოსაზრებების გათვალისწინებით, პროგრამის განვითარების გზების დასასახად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - sis.ibsu.edu.ge;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: ibsu.edu.ge
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტმა გააუმჯობესოს კომუნიკაცია სტუდენტებთან, უფრო აქტიურად ითანამშრომლოს მათთან და ჩართოს ისინი სხვადასხვა ღონისძიებებში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის პერსონალმა მეტი ყურადღება მიაქციოს უცხოელი სტუდენტების საჭიროებებს და ხელი შეუწყოს მათ საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრაციას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საჭიროება არ არსებობს ქართულენოვან პროგრამასთან მიმართებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სტუდენტების უფრო აქტიურ ჩართულობას საუნივერსიტეტო, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში.
- სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა.
- სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს სტუდენტებთან და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით განიხილოს პროგრამის განვითარების გზები.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	☐	☒	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ არის რელევანტური

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არ არის რელევანტური

რეკომენდაციები:

- არ არის რელევანტური

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის რელევანტური

შეფასება

არ არის რელევანტური

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა პროგრამის პერსონალის რეზიუმეები (CV) და გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულნი არიან კანონმდებლობისა და უსდს შიდა რეგულაციების შესაბამისად, და პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ საკვალიფიაკციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისთვის საჭირო სფეროებში პერსონალის კომპეტენცია დასტურდება მათი მიღწევებით. მოწვეული პერსონალი შერჩეულია შესაბამისი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციების საფუძველზე, რომელიც აუცილებელია სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში დასახმარებლად.
პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის საფეხურის შესაბამისად პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სამეცნიერო ნაშრომებით/შემოქმედებითი საქმიანობით.

პროგრამის ხელმძღვანელი პირადად მონაწილეობს პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მაქსიმალურად ერთგულია პროგრამის მიმართ, იყენებს და ავითარებს პროფესიულ შრომით ბაზარზე საკუთარ კავშირებს პროგრამის განვითარებისა და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობებისთვის, ასევე საერთაშორისო აკადემიასთან კავშირებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის.

ასევე დადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობით. თუმცა, გასულ წლებში არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის ადმინისტრაციულ პერსონალთან დაკავშირების პროცესი არ იყო თანმიმდევრული. განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებს შეექმნათ პრობლემები ადმინისტრაციული საჭიროებების დაკმაყოფილებაში, რაც უარყოფითად აისახა მათ გამოცდილებაზე. ახალი პროგრამაში გამარტივდება კომუნიკაციის ასეთი პროცესები.

პერსონალის სამუშაო დატვირთვა რეგულირდება და სტანდარტებთან შესაბამისობაშია. ადგილზე ვიზიტის დროს გამოვლინდა რამდენიმე ხარვეზები:

- პერსონალის სამუშაო დატვირთვა მხოლოდ დოკუმენტურად არის დასაბუთებული. რეალურად, ბევრი 10 კრედიტიანი კურსი მხოლოდ ერთი პროფესორის მიერ ტარდება, რაც ნიშნავს, რომ რეალური დატვირთვა ზედმეტად მაღალია და არ არის ასახული დოკუმენტებსა და ბიუჯეტში. (ბიუჯეტი არ არის სწორი, თუ პროფესორს უწევს არქიტექტურული დიზაინის სწავლება ორ ჯგუფში, რადგან ერთი ჯგუფი ვერ ჩაეტევა აღნიშნული საკონტაქტო დროის ფარგლებში – პრობლემა, რომელიც გამოვლინდა ინტერვიუ N4 და N5-ის დროს). ეს ნიშნავს, რომ სტუდენტების კონსულტაციებისთვის განკუთვნილი საათები პერსონალის სამუშაო დატვირთვაში არ არის გათვალისწინებული.
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა დოკუმენტურად ადეკვატურია სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით, მაგრამ დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი ძირითადად მოწვეული პერსონალით არის წარმოდგენილი (5 აფილირებული / 15 მოწვეული). ეს არ არის დაბალანსებული მოცემულობა.
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს არ ჰყავს აღნიშნული სფეროს აფილირებული ასისტენტები ან ასისტენტ-პროფესორები. ეს აჩენს კითხვებს პროგრამის მდგრადობასა და სამუშაო დატვირთვის ბალანსთან დაკავშირებით. ასოცირებული პროფესორები სტუდენტების სწავლასა და კონსულტირებას სრულიად დამოუკიდებლად აწარმოებენ, ასისტენტების გარეშე, ამიტომ მათი სამუშაო დატვირთვა უარესია იმ უნივერსიტეტებთან შედარებით, სადაც პერსონალის პოლიტიკა დაბალანსებულია.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [6]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**24**	**5**	**7**	**9**
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	8	4	6	8
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	15	15		_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური პერსონალის რეზიუმეები;
- დოკუმენტაცია პერსონალის შესახებ
- ვიზიტის დროს ინტერვიუს სესიები N1, N2, N3, N4, N5.

რეკომენდაციები:

- არქიტექტურასთან დაკავშირებულ დარგებში უსდ განიცდის ასისტენტების და ასისტენტ-პროფესორების აბსოლუტურ ნაკლებობას. პროგრამა არ იქნება მდგრადი ასეთი აფილირებული პერსონალის გარეშე. რეკომენდებულია, რომ დარგის სპეციალობის მქონე მოწვეული სასწავლო პერსონალი უფრო ნაკლები იყოს და დაემატოს ასისტენტების სახით მეტი აფილირებული პერსონალი.
- რეკომენდებულია მეტი პერსონალის გამოყოფა 10 კრედიტიანი კურსებისთვის, რამეთუ დოკუმენტებში პერსონალის რაოდენობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა რეალურად, ხშირ შემთხვევაში, ამ პოზიციებს ერთი და იგივე პროფესორები ავსებენ. ეს რეკომენდაცია ეხება შემდეგ საგნებს: ARC 2000 არქიტექტურული პროექტირება (Architectural Design) I, ARC 2500 არქიტექტურული პროექტირება II, ARC 3002 არქიტექტურული პროექტირება III, ARC 3502 არქიტექტურული პროექტირება IV და ARC 4001 არქიტექტურული პროექტირება V.

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- დარგობრივი ცოდნის მქონე ასოცირებული პროფესორი სასურველზე მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი, ამ რაოდენობის სტანდარტთან შესაბამისობის შემთხვევაშიც კი, სასურველია მათი რაოდენობის გაზრდა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ არის რელევანტური

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არ არის რელევანტური

რეკომენდაციები:

- არ არის რელევანტური

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის რელევანტური

შეფასება

- არ არის რელევანტური

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა შესაბამისი დოკუმენტები და ადგილზე ვიზიტის დროს დასვა შეკითხვები, ასევე შეამოწმა ფიზიკური და მატერიალური პირობები უსდში. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა ყველა დოკუმენტი, რომელიც პროგრამის პერსონალის შეფასებასთან არის დაკავშირებული (უმეტესად ხელმისაწვდომი იყო თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტები) თუმცა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან (N1), პროგრამის ხელმძღვანელთან (N3) და პერსონალთან (N4, N5) გასაუბრებამ დადებითი უკუკავშირი გამოავლინა ამ მიმართულებით, და აღნიშნული თვალსაზრისით უსდ შესაბამისობაშია სტანდარტებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს (მატერიალური, ფინანსური რესურსები და ა.შ.) აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო, კვლევითი და საერთაშორისო საქმიანობის ხელშეწყობისთვის. აღსანიშნავია პერსონალის საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში მონაწილეობის კარგი მაგალითები (პოლონეთი, შვედეთი, ფლორენცია).

პერსონალის საჭიროებებთან და კვლევით ინტერესებთან შესაბამისობაში, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად ორგანიზებულია სხვადასხვა აქტივობები, როგორიცაა ტრენინგები და ვორქშოფები. უნივერსიტეტში ასევე არსებობს წახალისების სხვადასხვა მექანიზმი. მაგალითად, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი წახალისებულია მაღალი ინდექსის მქონე ჟურნალებში სტატიების გამოაქვეყნებით, წახალისების ზომები კი გაწერილია მსგავსი მიღწევების დასაჯილდოებლად.
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, „იმ შემთხვევებში, როდესაც პერსონალი ატარებს დამატებით კვლევებს მათ სამუშაო კონტრაქტში გათვალისწინებული კვლევების მიღმა, პერსონალის ანაზღაურების წესები რეგულირდება 'აკადემიური აქტივობის წახალისების' დებულებით. ეს გულისხმობს პერსონალის ტრენინგებში, საერთაშორისო კონფერენციებში და პროფესიული განვითარების სხვა აქტივობებში მონაწილეობისთვის პირობების შექმნას.“
ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი მუდმივად აცხადებს საგრანტო შესაძლებლობებს პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის. მოქმედებს უნივერსიტეტის შიდა კვლევების დაფინანსების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობებისთვის გრანტების გაცემის წესებს. ეს გრანტები გაიცემა აღნიშნული პოლიტიკის საფუძველზე და ხელს უწყობს აკადემიური კვლევების მეტად განვითარებას უნივერსიტეტში.
უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მხარდაჭერის პოლიტიკის დებულება, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ მხარდაჭერის კატეგორიებს და მათი განხორციელების ფორმებსა და საშუალებებს. დოკუმენტში აღწერილი მხარდაჭერის ზომები მიზნად ისახავს სტუდენტების, თანამშრომლების, შესაძლო სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დახმარებას.
უსდ- ის წარმომადგენლების თქმით, უნივერსიტეტი ახორციელებს, აანალიზებს და აქტიურად იყენებს პროგრამის პერსონალის შეფასებისა და მათი კმაყოფილების კვლევების შედეგებს. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს მათი სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებას, ასევე შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობის შეფასებას. მიღებული შედეგები გამოიყენება მათი პროფესიული განვითარებისთვის. ასევე აღინიშნა, რომ შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისა და მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენებისას.

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო დაედასტურებინა, უზრუნველყოფს თუ არა უსდ პროგრამაში ჩართული პერსონალის ტრენინგებს, რომლებიც საჭიროა ელექტრონული/დისტანციური სწავლება-სწავლის/შეფასების მეთოდების ეფექტურად გამოყენებისთვის, თუმცა უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა ამგვარი აქტივობის განსახორციელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში;
- დოკუმენტაცია პერსონალის შესახებ
- ვიზიტის დროს ინტერვიუს სესიები N1, N2, N3, N4, N5.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პერიოდულად გადაიხედოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება, რათა შემდგომში დაიხვეწოს მათი შეფასების მეთოდოლოგია.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აუცილებელ ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობას, როგორიცაა აუდიტორიები, კომპიუტერები, ბიბლიოთეკა და სხვა.

პროგრამის ინფორმატიკის საფუძველი უზრუნველყოფილია; აუდიტორია და ბიბლიოთეკა კარგად არის აღჭურვილი.

საკლასო ოთახები სრულად ვერ ერგება არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისთვის საჭირო შემოქმედებითი სტუდიების საჭიროებებს. არ არის სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის და მეტი სივრცეა საჭირო ხაზვისა და მოდელირებისთვის.

ბიბლიოთეკაში არქიტექტურასთან დაკავშირებული წიგნების კოლექცია შეზღუდულია, რაც გაუმჯობესებას საჭიროებს. თუმცა, ყველა აუცილებელი და სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ონლაინ იბსუს ბიბლიოთეკის შიდა საცავის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საჭირო მასალების მიწოდებას.

პროგრამა უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის საბიბლიოთეკო, მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით, რომლებიც პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევადაა საჭირო.

უსდ ზრუნავს პროგრამის საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსების განახლებაზე.

ბიბლიოთეკა ინახავს ყველა საბაზო ლიტერატურას, რომელიც მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, ასევე სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ რესურსებს), რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე სამეცნიერო ჟურნალები, ციფრული რესურსები და საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზები. ეს უკანაკსნელი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ სფეროში არსებულ თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს და მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს.

მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსები თავისუფლად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების თაობაზე და იციან მათი გამოყენება.

პროგრამაში ჩართული პერსონალი და სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რესურსებით, რაც საჭიროა ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესში სწავლება-სწავლის/შეფასების მეთოდების გამოყენების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ხელახლა გადააწყოთ აუდიტორიებია და სტუდიური სივრცეები, რათა მერხების რიგში ტრადიციულად განლაგების ნაცვლად, უფრო შთამაგონებელი სამუშაო და შემოქმედებითი ატმოსფერო შექმნათ არქიტექტურის სტუდენტებისთვის.
- სასურველია შეიქმნას ჯგუფური სამუშაოსათვის და საერთო პროექტებისათვის უფრო მიმზიდველი სივრცეები, რომელიც წაახალისებს გუნდურ სულისკვეთებას სტუდენტებში.
- სასურველია, გაუმჯობესდეს არქიტექტურის, ურბანიზმის, ნაგებობისა და მსგავსი დარგების შესაბამისი წიგნებისა და ჟურნალების კოლექციის ბეჭდური ვერსიები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოწოდებული დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე, რომლებიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ჩატარდა, ცხადი გახდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტშია ჩართული. პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია.

ადმინისტრაციის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ უნივერსიტეტი აკრედიტაციაზე წარდგენილ პროგრამას ფინანსურად უჭერს მხარს. პროგრამა ფინანსურად სტაბილურია, ხოლო ბიუჯეტი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა პროგრამის განვითარება, სწავლება, კვლევითი რესურსების დაფინანსება და სხვა საჭირო ხარჯები, რომლებიც უკავშირდება პერსონალის ანაზღაურების გეგმის ეფექტურად განხორციელებას. გარდა ამისა, ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით, ბიუჯეტი ასევე ფარავს საბიბლიოთეკო რესურსების, ინფრასტრუქტურის განახლებისა და შენარჩუნების, კონფერენციების, პუბლიკაციების და სხვა სამეცნიერო აქტივობების ხარჯებს, რომლებიც ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით: „2018 წელს მივიღეთ აკრედიტაცია ინგლისურენოვან პროგრამაზე და მას შემდეგ ყოველწლიურად ვიღებთ სტუდენტებს. ახლა გადავწყვიტეთ, სტუდენტები მივიღოთ წარმოდგენილ ქართულენოვან პროგრამაზეც. საწყის ეტაპზე ვგეგმავთ 25 სტუდენტის მიღებას.“

ბიუჯეტის ანალიზი და გასაუბრების პასუხები აჩვენებს, რომ პროგრამის პირდაპირი ხარჯები შეადგენს 70,765.31 ლარს, საიდანაც 25,049.20 ლარი გადანაწილებულია პროგრამის ადმინისტრირებაზე, 14,512.50 ლარი ლიტერატურისა და კვლევითი პროექტების მომზადებაზე, ხოლო 35,239.00 ლარი სასწავლო პროცესის ინიცირებაზე.

შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლის თქმით: „ფინანსები გამოყოფილია სტუდენტთა მხარდამჭერი აქტივობებისთვის, რაც უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას სტუდენტურ პროექტებში, სტუდენტური კლუბების ფარგლებში, რომელიც იძლევა სხვადასხვა აქტივობის განხორციელების საშუალებას“.
პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი ხარჯები შეადგენს 7,278.30 ლარს, ხოლო საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებული ხარჯებისთვის გამოყოფილია 3,826.53 ლარი.
ასევე, ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით: „პროგრამის ბიუჯეტში ჩართულია, უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სრული ფუნქციონირება და ნებისმიერი ხარჯის დაფარვა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტების მინიმალური რაოდენობა არ დაკმაყოფილდება.“
საბოლოოდ, ფინანსური სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა: „პროგრამის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 152,844.30 ლარს. ჩვენი შეფასებით, ეს ბიუჯეტი სრულად აკმაყოფილებს არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის მიზნებს.“

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.
- პროგრამის ბიუჯეტი
- გასაუბრების პასუხების ფარგლებში გამოთქმული ინფორმაცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარდგენილი დოკუმენტაციიდან და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინაციას უწევს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მათი ძირითადი ამოცანაა უნივერსიტეტში სწავლების და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება და ფართო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის წარმომადგენლები თანამშრომლობენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასებების განხორციელებაში. შესაბამისი პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები გაწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოსა და პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურებში.

უსდ-ში ჩატარდა ბაზრის კვლევა, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ასევე განხილული იყო არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის და მასთან დაკავშირებული სფეროების კურსდამთავრებულთა გამოცდილება. თვითშეფასების პროცესში ასევე გამოყენებული იყო მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევები (ფოკუს ჯგუფის ანგარიშები), დამსაქმებელთა უკუკავშირი

და გარე შეფასებები. პროგრამის ფორმირების პროცესში სრულად იქნა გათვალისწინებული დამსაქმებელთა მოსაზრებები.

თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ყველა წევრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მუშაობდა, აქტიურად იყვნენ ჩართულები დამსაქმებლები და ბიბლიოთეკის მენეჯერები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები ნათლად იყო განსაზღვრული. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით, მონაწილეობს პროგრამის სტანდარტებთან დაკავშირებული ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაში, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების შეფასებას, აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას და გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების შემუშავებას.

უსდ-ში კარგად დაგეგმილი და განხორციელებული პროცედურები წარმოადგენს მიმდინარე პროცესების შეფასების საფუძველს. ამ შეფასებების საფუძველზე განვითარება და გაუმჯობესება ხორციელდება "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებში მონაწილეობა არა მხოლოდ უზრუნველყოფს ღირებული უკუკავშირის მიღებას, არამედ ხელს უწყობს პროგრამის გაუმჯობესების მიმართ საერთო პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, ასევე რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს. ეს დადასტურებულია დოკუმენტაციის პაკეტით და გასაუბრებით მიღებული ინფორმაციით.

გასაუბრების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სტუდენტებისა და პერსონალის სერვისებით კმაყოფილება, მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის და საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება. ეს კითხვარები პერიოდულად ახლდება. გამოკითხვების პროცესში გამოიყენება როგორც უნივერსიტეტის მიერ რეკომენდებული, ასევე დარგთან დაკავშირებული დამატებითი კითხვარები.

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა გამოკითხვების სხვადასხვა ტიპების გამოყენება, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები, ასევე კითხვარების ანალიზი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ შიდა ხარისხის შეფასების პროცესში, რაც თანამშრომლობის კულტურის განმტკიცებას უწყობს ხელს.

გასაუბრების დროს ასევე დადასტურდა, რომ აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობების შეფასებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის თქმით, ყოველწლიური ანგარიშის ფორმა, რომელიც პერსონალის მიერ ყოველი აკადემიური წლის ბოლოს ივსება, მოიცავს სხვადასხვა ტიპის

აქტივობებს — როგორც სამეცნიერო, ასევე საგანმანათლებლო. მუშავდება ახალი სააპელაციო ფორმაც, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ხარისხს.

ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა: „აფილირების ახალ დოკუმენტში გაწერილია პროფესორის ფიქსირებული ანაზღაურება, დეტალური პასუხისმგებლობების დართვით — სწავლება, კვლევა, სტატიების გამოქვეყნება და სხვა,- რაც ხარისხის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.“

კვლევებიდან მოპოვებულ მონაცემებს ამუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რის შემდეგაც პერსონალს მიეწოდება რეკომენდაციები გაუმჯობესების საჭირო მიმართულებებზე. შემდგომ, გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, ინდივიდუალურად იგეგმება აქტივობები აკადემიური პერსონალისთვის. მაგალითად, კვლევებმა აჩვენა, რომ აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება არსებობს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად მართავს კონსულტაციებს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებზე. ამ პროცესში სტუდენტების გამოკითხვა სისტემატურად ტარდება სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების შესახებ.

ასევე აღსანიშნავია პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამაში ჩართულ პერსონალს შორის აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. აღსანიშნავია მათი მონაწილეობა სხვადასხვა შეხვედრებში, რომელიც ორგანიზებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და მოიცავს თემებს, როგორიცაა საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების შეუფერხებელი ფუნქციონირება, პროგრამის განვითარება და სილაბუსების მომზადება. უკუკავშირის საფუძველზე ინდივიდუალური კურსები მუდმივად განახლდება, ხოლო პერსონალი სხვადასხვა ფორმატით მონაწილეობს კონსულტაციებსა და ტრენინგებში.

ახალი რეგულაციების დანერგვისას ან შიდა რეგულაციების განახლებისას მნიშვნელოვანია შეფასების ინსტრუმენტებზე და რეგულაციებზე მოპოვებული ინფორმაციის პროგრამაში ასახვა. ამგვარად, შიდა ხარისხის მექანიზმი აერთიანებს ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება, რაც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, პროგრამაში გამოყენებული შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმები ძლიერია.

პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს. უსდ- ში ასევე დაინერგა კოლეგიური დაკვირვება რაც ხელს უწყობს თანამშრომლობას და ლექციების ეფექტურად დაგეგმვას უზრუნველყოფს. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით: „ჩვენ გვყავდა სტუდენტები 20 სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის ისრაელიდან და ინდოეთიდან. ამიტომ, ლექტორებისთვის აუცილებელია სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია და ინგლისური ენის მაღალ დონეზე ფლობა. დაკვირვებების დროს ასევე ვაფასებთ ლექტორების ინგლისური ენის ცოდნას და სწავლების მეთოდოლოგიას.“

გასაუბრების ფარგლებში გამოვლინდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს ხარისხის შეფასების მექანიზმებს და მიიჩნევს, რომ ეს მექანიზმები ეფექტურია როგორც პროგრამის განვითარებისთვის, ისე მათი პროფესიული ზრდისთვის. შიდა ხარისხის შეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები აქტიურად განიხილება თვითშეფასების ჯგუფის მიერ.

გასაუბრების ფარგლებში აღინიშნა, რომ პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებული იქნება პროგრამის განვითარების პროცესში. ეს ზრდის პროფესორ-მასწავლებლების ანგარიშვალდებულებას და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. ცხადია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევა სტუდენტზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს როგორც სწავლების, ისე კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას.

უსდ-ში ეფექტურად არის უზრუნველყოფილი სასწავლო რესურსებისა და სერვისების მაღალი სტანდარტი. დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციაზე, პერიოდულ და ეფექტურ მონიტორინგზე, შეფასებაზე და შედეგებზე დროულ რეაგირებაზე ამახვილებს.

საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმებს, რომლებიც თანხვედრაშია დაწესებულების ხარისხის პოლიტიკასთან. ეს მექანიზმები მხარს უჭერს ხარისხის დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგისა და გაუმჯობესების შესაბამის პრინციპებს. შესწავლილი დოკუმენტები და ინტერვიუების შედეგები მიუთითებს, რომ პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები — რომლებიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, შეფასებასა და გადახედვას, სამეცნიერო პერსონალის აქტივობების შეფასებას, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, კურსდამთავრებულთა დასაქმებას, დამსაქმებელთა უკუკავშირსა და შრომის ბაზრის კვლევას — ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის, საგანმანათლებლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოწადინებულია გააუმჯობესოს ხარისხი, საჭირო ინსტრუმენტებისა და მათი შეფასების მეთოდების შემუშავების, შეფასების პერიოდულობის დაგეგმვის, შეფასების განხორციელებისა და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე რეკომენდაციების მიწოდების საშუალებით, რომლებიც მიმართულია საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხარისხის შეფასების შედეგებს ითვალისწინებს, ვინაიდან კარგად არიან ინფორმირებულნი და იყენებენ გამოკითხვების შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს, ხოლო მიღებული შედეგები გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესებისთვის, პროგრამის განახლებისა და პროფესორების მუშაობის უკეთ დაგეგმვისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება
- პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის წესი
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ჩატარებული კვლევები
- გასაუბრების ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარდგენილი დოკუმენტაციისა და აქტიური ფორმატის გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, მათ შორის გარე ექსპერტების შეფასებებსა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს.

დამსაქმებლის თქმით, მათი რეკომენდაციის შედეგად პროგრამის სასწავლო გეგმაში დამატებულია კურსი საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლებზე. აღნიშნული კურსი მოიცავს შენობების უსაფრთხოების ძირითად რეგულაციებსა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მშენებლობის პროცესში. დამსაქმებელმა აღნიშნა: „ეს კურსი პროგრამის კურსდამთავრებულებს საჭირო ცოდნითა და გამოცდილებით უზრუნველყოფს.“

ანალოგიურად, მეორე დამსაქმებელმა რეკომენდაცია გასცა გეოდეზიის კურსის დამატებაზე პროგრამაში, რაც პროგრამის შემმუშავებლებმა გაითვალისწინეს. კიდევ ერთი დამსაქმებლის წინადადება, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაზრდასთან დაკავშირებით, ასევე გათვალისწინებულია.

გარე შემფასებლის თანახმად: „კურსების თანმიმდევრობა და მათი განაწილება სემესტრების მიხედვით სრულად შეესაბამება არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს," რაც პროგრამის მენეჯერებმაც გააჟღერეს.

გარე შემფასებელმა და საერთაშორისო ექსპერტმა თურქეთიდან აღნიშნა: „წარდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დადებით შეფასებას იმსახურებს." მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა არქიტექტურული დიზაინის კურსების გარდა ისეთი კომპონენტების ჩართვას, როგორიცაა ურბანული დიზაინი, ინტერიერის საფუძვლები და გარემოს დიზაინი. მისი რეკომენდაციის საფუძველზე პროგრამაში დაემატა კურსები, როგორიცაა ხაზოვანი გეომეტრია და ხაზვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება.
- უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი აქტივობების ანალიზი
- ანალოგიების დოკუმენტი
- გასაუბრების ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გასაუბრებისა და წარდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ცხადია, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება ხდება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. სკოლა პროგრამის შეჯამებულ ანგარიშს ამზადებს, რომელსაც შემდეგ წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ამის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიღებული დოკუმენტების საფუძველზე ამზადებს საბოლოო ანგარიშს, და პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო, როგორც საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო.

პროგრამის მომზადების პროცესში რეგულარულად ტარდება კვლევები მომიჯნავე პროგრამებიდან. ეს გულისხმობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, სემესტრულ გამოკითხვებს კურსების შესახებ, კურსდამთავრებულთა უკუკავშირს და მოწვეული და აკადემიური პერსონალის შეფასებას სტუდენტთა გამოკითხვებზე დაყრდნობით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, პროგრამის მიზნობრივი შედეგების მუდმივი მონიტორინგი და ანალიზი სტუდენტების აკადემიური მოსწრების სემესტრული შეფასების საშუალებით, ასევე დამსაქმებლებისა და გარე ექსპერტების შეფასებების გათვალისწინებით ხორციელდება. პროგრამის განვითარების მიმდინარეობის შესაფასებლად, თითოეული საანგარიშო პერიოდის თვითშეფასების ანგარიში მოიცავს შედეგების შედარებით ანალიზს წინა პერიოდებიდან.

ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს მუშაობა პროგრამის შიდა შეფასების მექანიზმების გასაუმჯობესებლად, დამატებითი ინსტრუმენტების შესაქმნელად და ხარისხის გაუმჯობესების, უზრუნველყოფის სისტემის გასაძლიერებლად. ხარისხის შიდა მექანიზმების გამოყენების გასაუმჯობესებლად, თვითშეფასების ინსტრუმენტების დახვეწისა და მონაცემთა ანალიზის უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის ტარდება ტრენინგების სერია.

მაგალითად, მოწვეული პერსონალის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი სტატიის მაღალი რანგის ჟურნალში გამოქვეყნების ხარჯები სრულად დაფარა უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ. დაწესებულება ასევე ხელს უწყობს პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო საგრანტო პროექტებში, მათ შორის Erasmus+ პროექტებში, რაც უწყვეტ პროფესიულ ზრდასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

პერსონალის თანახმად, ისინი ავსებენ ანგარიშის ფორმას, ირჩევენ თავიანთ აქტივობებს და წარადგენენ ფორმას ხარისხის დეპარტამენტში. გადამოწმების შემდეგ ხარისხის დეპარტამენტი აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს. ყოველი აკადემიური წლის ბოლოს პროგრამის აკადემიური პერსონალი აფასებს საკუთარ საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას და ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. გარდა ამისა, ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტთა შეფასებას კურსებისა და ლექტორების შესახებ ანკეტების საშუალებით, რომლებიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზის საშუალებით.

პროგრამის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა მოდიფიცირდება და უმჯობესდება. ასევე მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის უწყვეტი განახლება. პრორექტორის განცხადებით, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ნახევარი მილიონი ლარი დაიხარჯა ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე, რაც მოიცავს უნივერსიტეტის რეორგანიზაციის ფარგლებში სამი კომპიუტერული ლაბორატორიის განახლებას.

უნივერსიტეტში შეიქმნა მონიტორინგის ახალი დეპარტამენტი, რომელიც მართავს გამოცდების კონტროლის სისტემას. გარდა ამისა, დაარსდა კვლევითი ცენტრი, სადაც ტარდება ბაზრის კვლევები. მოცემული პროგრამისთვის შემუშავდა სპეციალური ანკეტები და ჩატარდა კვლევები.

პროგრამის ადგილობრივ და საერთაშორისო ანალოგებთან შედარებით გამოიკვეთა, რომ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა თანხვედრაშია როგორც სამი ადგილობრივი დაწესებულების (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსი), ასევე ხუთი საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამებთან: ლისაბონის უნივერსიტეტი (პორტუგალია), დელფტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ნიდერლანდები), ვაიმარის ბაუჰაუსის უნივერსიტეტი (გერმანია), ოსაკას ტექნოლოგიური ინსტიტუტი (იაპონია) და შინგუს კოლეჯი (სამხრეთ კორეა).

ადგილობრივ კონტექსტში პროგრამა განსაკუთრებით ახლოს არის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რომელიც სთავაზობს მსგავს საბაზისო და არჩევით კურსებს არქიტექტურაში, როგორიცაა არქიტექტურული გრაფიკის საფუძვლები და არქიტექტურული პროექტირება. მათ პროგრამაში ტოპოგრაფიული პრაქტიკა შეესაბამება აქ შემოთავაზებულ არქიტექტურული ნახაზების კურსს.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში არქიტექტურის მშენებლობის სისტემებისა და სამშენებლო მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კურსები შეესაბამება ამ პროგრამის მასალებისა და კონსტრუქციების კურსს.

საერთაშორისო კონტექსტში, ლისაბონის უნივერსიტეტი სთავაზობს კურსებს, როგორიცაა აღწერითი და კონცეპტუალური გეომეტრია I და კლასიკური და შუასაუკუნეების არქიტექტურის ისტორია, რომლებიც მსგავსია ამ პროგრამის კურსებთან არქიტექტურული ნახაზებისა და არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიის (მე-19 საუკუნემდე) შესახებ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დელფტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კურიკულუმის 40%-იანი თანხვედრა ამ პროგრამის სავალდებულო კურსებთან. მაგალითად, მათი „დაგეგმარების საფუძვლები – CAAD“ კურსი იდენტურია ამ პროგრამის „ავტომატიზებული სისტემების დიზაინი I (Computer Aided Design I)“ კურსთან. ორივე პროგრამა ასევე მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს.

ოსაკას ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროგრამის ანალიზმა აჩვენა, რომ მისი სტრუქტურა და კვალიფიკაცია შედარებადია მოცემულ პროგრამასთან. ორივე პროგრამა სთავაზობს არქიტექტურის ბაკალავრის ხარისხს, აქვს ოთხწლიანი ხანგრძლივობა და იყენებს კრედიტების მსგავს სისტემას. მათი კურსი „შენობების საფუძვლები I“ შეესაბამება ამ პროგრამის „მასალებისა და სტრუქტურების“ კურსს.

საბოლოოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი ხაზს უსვამს, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული და გააზრებული აქვს პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევები
- გასაუბრების ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☐	☒	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	☒	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☒	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

დოქტორი. ბალინტ კადარი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ირაკლი ჟვანია

ირმა ქურდაძე